

საბჭოთა სპორტი

საპარტიზმოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტიზმოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ლ ე ლ

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ბაზირდება 80-17 წელი.

№ 56 (1691) 330 რაზ, 7 მაისი, 1961 წ. ფასი 8 კაპ.

საბჭოთა სპორტის ღვაწი

წლის წინათ, 1912 წლის 5 მაისს (ძველი სტილით 22 აპრილს), გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთის — „პრავდის“ პირველი ნომერი, გაზეთისა, რომელიც მშრომელი ხალხის, მებრძოლი პროლეტარიატის ტრუბინა გახდა და მისი ინტერესების ქვეშაირად დამცველად, მისი რჩევების კოლექტიურ ორგანიზატორად იქცა. მას შემდეგ ამ თარიღს ყოველთვის დიდი სიყვარულით აღნიშნავდნენ საპარტიზმის, ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლი ხალხები, როგორც კომუნისტური პრესის დღეს. ამ თარიღს ყოველთვის დიდ საზეიმო ვითარებაში აღნიშნავდნენ დღეს საბჭოთა ხალხები, რომლებმაც სინამდვილედ აქციეს ეს ბედნიერი მომავალი და შექმნეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო — კაცობრიობის ნათელი მიზნისაკენ მეგზური და ძღვევამოსილი მებრძოლი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი პრესა არახალისე ტემპებით გაიზარდა და მომძაფრდა. ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ტირაჟით გამოდის გაზეთები, უფროსები, სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურა, გამოდის საბჭოთა კავშირში მცხოვრები ხალხების ყველა ენაზე.

ფართო განვითარება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში სპორტულმა პრესამაც. თითქმის ყოველ მომე რესპუბლიკაში გამოდის სპეციალური სპორტული გაზეთი, რომელიც სისტემატურად აშუქებს საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის მიღწევებს, ეხმარება მათ განვითარებას. საბჭოთა კავშირში დღეს გამოდის ათეუ მეტი სპორტული უფროსი, მართა საკავშირო ცენტრალურ გამომცემლობებში ყოველწლიურად იბეჭდება და გამოდის სპორტული ხასიათის 400-მდე სახელწოდების წიგნი და ბროშურა, რომელთა ტირაჟიც 15 მილიონ ეგზემპლარს აღწევს.

სპორტული საბჭოთა პრესის რიგებშია ჩვენი რესპუბლიკის გაზეთი — „ლელოც“, რომლის წინაშე ამჟამად მტკაღ დიდი, საპაუხისმგებლო, გაზრდილი ამოცანებია დასახული; 15 მაისის შემდეგ ჩვენი გაზეთის პერიოდულობა მატულობს, „ლელოც“ გამოვა კვირაში ხუთჯერ. ეს გარემოება გაზეთის რედაქციის კოლექტივისაგან მოითხოვს ძალისხმევას და მუშაობაში დღემდე არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის დაუტყობმელ ბრძოლას და ახალ, დაუღალავ შემოქმედებით მივებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მკითხველი მასების, მრავალრიცხოვანი სპორტისმოყვარულთა მოთხოვნებისა და გაზრდილი კულტურის, გემოვნების დაკმაყოფილება. ახალი ამოცანები მოითხოვენ ჩვენი გაზეთისაგან, რომ იგი კიდევ უფრო ახლოს მივიდეს რესპუბლიკის ფიზკულტურულთა და სპორტსმენთა ყოველდღიურობასთან და დრმად, ცოცხლად, საინტერესოდ გააშუქოს იგი, კიდევ უფრო ქმედითად იბრძოდოს მათი განუხრელი წინსვლისათვის.


„ლელოც“ კოლექტივი ძალასა და ენერჯიას არ დაიშურებს, რათა დადგეს ამ ახალი, გაზრდილი მოთხოვნების სიმაღლეზე.



დაიწყო

საპარტიზმოს, აკარაბი ჯანისა და სომხეთის სპორტსმენთა მრავალდღიანი ველორგოლა „მეგობრობის თასზე“. შეჯიბრება ტარდება საპარტიზმოს შურნალისტთა კავშირისა და სპორტკავშირის ინიციატივით.

ველორგოლის ანგარიში, სათაურით „ბოლო დაწყოს“, იხ. მე-3 გვ.




გუშინ მომე სომეხმა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი. ამ ზეიმს შეუერთდა ყველა საბჭოთა ხალხი, კერძოდ — მისი ძველთაძველი და კეთილი მეზობელი, ქართველი ხალხი. ამ სადღესასწაულო დღეს მომე სომხეთს ბევრი საპატიო სტუმარი ეწვია. ერევანში ჩავიდა და სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სესიაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აბხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

გულითხდი სასაბჭოთაო

ჩვენს მომე რესპუბლიკაში

საბჭოთა სომხეთს!

სურათზე: ერევნის ხელი, მარჯვნივ — სსრ-ს სპორტული კომიტეტის მომენტი.



საუკუნეთა განმავლობაში მოდიოდნენ ქართველი და სომეხი ხალხები ისტორიის ძნელ გზაზე ხელიხელმძაკდებულნი იბრძოდნენ არსებობის შესანარჩუნებლად, პროგრესისათვის, წინსვლისათვის. საუკუნეთა განმავლობაში იჭედებოდა მათი მეგობრობა, ურთიერთგაგება, სიყვარული, რომლებიც მათ დღევანდლამდე — განახლებულ აწმყომდე მოიტანეს.

სომეხი ხალხი დღეს კომუნისტურ საზოგადოების მშენებელთა მოწინავე რიგებში დგას და დაცვრამლად იბრძვის უკეთესი მემკვიდრისათვის, ბევრმა მისმა წარმომადგენელმა შორს გაუთქვა სახელი მშობლიურ რესპუბლიკას, მიტწარმოებას, სოფლის მეურნეობას, კულტურას, მეცნიერებას, სპორტს...

სალამი მომე სომხეთს! მტკიცდებოდეს და ძლიერდებოდეს ჩვენი მეგობრობა!

5 გაგარჯვება ჯალიჯად

ბელგრადში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. გერმანულ კალათბურთელებს მორიგი მატჩი ჰქონდათ სსრ კავშირის ნაერებთან. თუმცა მათ შეხვედრის დასაწყისშივე სცადეს უპირატესობის ხელში აღება, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კალათბურთელებმა გააზრებული თამაშით მათ ამის საშუალება არ მისცეს. მატჩის პირველი ნახევარი მორგეს საბჭოთა კალათბურთელებმა — 39:18. კვლავ ჩვენი გუნდის უპირატესობით წარიმართა თამაშის მეორე ნახევარი. გაიმარჯვეს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა — 71:40.

მრავალრიცხოვანი მყურებელი, რომელიც ამ დღეს მატჩების საყურებლად მოვიდა, დიდი ინტერესით ელოდა სსრ კავშირ-უნგრეთის კალათბურთელთა თამაშს. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მატჩი თავიდან ბოლომდე საბჭოთა სპორტსმენების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე დამარჯვებით — 93:31. ამ თამაშის წინ საბჭოთა ნაერებმა გუნდმა მოუგო პოლონეთს — 67:53.


მ. ტალი არ ცხრება

აქვს, მაგრამ ვერ უნდა გადალახოს ბევრი ტექნიკური სირთულენი.

გუშინ ცენტრალურ საკლარაკო კლუბში მოხდა ამ პარტიის დამთავრება. ტალმა ზუსტი თამაშით პარტია მოგებამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ტალმა გააუქმებეს ანგარიში 7,5:11,5, მისი საერთო მდგომარეობა მატჩ-რეგულში მაინც საგალალოა. დარჩენილ ხუთ პარტიაში მან უნდა მოაგროვოს 4,5 ქულა, რომ შეინარჩუნოს მსოფლიო ჩემპიონობა, ბოტვინის კი გამარჯვებისათვის ყოფნის ერთი ქულა.

მატჩ-ტურნირის მე-19 პარტიაში უკვე დებიუტმა — ძველიდურმა დაცვამ — განსაზღვრა ბრძოლის გეზი, ბოტვინი „უმიზნებდა“ ყაიშს და თავს არიდებდა გართულებებს. მე-13 სელაზე გაიკვალა ლაზიერები, დაბოლოება ძალზე რთული გამოდგა. ბოტვინის მხდარი სეველდ შეიჭრა ტალის პოზიციაში, რომლის განთავისუფლებისათვის ბოტვინიკმა პაიცი გაიღო. თანდათანობით ტალის მდგომარეობა მოსაგებ ხდებოდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის მღელვარებამ (მოდი და ნუ აღვლდები, როცა მატჩის ბედი ბეწვზე ჰქიდია) კვლი დაანჩია უპირატესობის რეალიზაციას. ტალმა რამდენიმე პასიური სვლით ბოტვინის სული მოათქმევინა.

პარტია ვადაიდო. სპეციალისტების აზრით ტალს იგი მოგებული



ნიხბოსნობა

შევიბრება საბიძარო ნიხბოსნობას და კანოეში ბათუში ჩატარდა. პროგრამა არც თუ ისე რთული იყო, მაგრამ შედეგები იმდენად დაბალია, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მართალია, ამ შევიბრების ფინალში კონკურსგარეშე მონაწილეობდა თბილისის გუნდი, რაც ბათუმის გამთავრებულ ქარხნის, ფოთის სავაჭრო პორტის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, სოხუმის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორისა და ქუთაისის ავტოქარხნის გუნდებს ბრძოლას უადვილებდა, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და სეკონდ დაბალ დონეზე ჩატარეს შევიბრება, გუნდები არ აღმოჩნდნენ სთანადოდ მომზადებულნი, რის გამოც ორადგილიანი კანოეთი 1 000 მეტრზე და ეველა ესტაფეტებში შეხვედრები არ გამართულა, სხვა სხეობებში კი ხშირად ორი ან სამი ნაწილი გამოდრდა სტარტზე.

არის სხვა არასასიამოვნო ფაქტებიც. ერთადგილიანი კანოეთი 1 000 მ ვაჟთა შევიბრებაში გამარჯვებულმა ვ. ვლასენკომ (ბათუმი) დისტანციის გავლას 6.58,1

მოინდობა. მესამე ადგილზე გამოხულმა ლ. ვარდოსანიძემ (რუსთავი) კი — 9.19,0 (?). უფრო შორს წავიდა ქუთაისელი ა. სრებიანი, მას თითქმის ორჯერ მეტი დრო 13.12,7 დასჭირდა დისტანციის დამთავრებისათვის, ვიდრე გამარჯვებულს.

უფრო ხაზარტებით ფაქტს ჰქონდა ადგილი ორადგილიანი ბიძარებით 1 000 მ შევიბრების დროს. ბათუმის გუნდის წევრებმა ლ. ალხაზოვმა და მ. ლომთათიძემ დამთავრეს დისტანცია — 4.47,2-ში, ნაწილი გააშრალეს, შეინახეს, კარგად დაისვენეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა ფინიშანი ქუთაისის ორგული. მათი მიხედვით

ბელი — 12,29,3 კომენტარებს აღარ საჭიროებს. ამავე დისტანციაზე ორადგილიანი კანოეთი შევიბრება მხოლოდ ბათუმის ქაბუკთა გუნდმა დაამთავრა. დაბალი ტექნიკური და ფიზიკური მომზადების გამო სოხუმისა და რუსთავის სპორტსმენებმა ბრძოლა შეწყვიტეს. ქუთაისელთა ნაწილი გადაბრუნდა და ვერც მან მიიღწია ფინიშანდე. მკუხედავად ზემოაღნიშნული ხარვეზებისა, ზოგიერთ გაცურვაში ნაჩვენებია იქნა დამაკმაყოფილებელი შედეგები.

ამ შევიბრებაში გამარჯვდა ფოთის გუნდმა, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ბათუმისა და რუსთავის კოლექტივები.

საერთაშორისო მატჩები კიევიში

კიევში გაიმართა უკრაინულ და ამერიკულ კალათბურთელთა 2 მატჩი. ქალთა გუნდების შეხვედრაში ადგილობრივმა „დინამომ“ მოიგო მატჩის პირველი ტაიმი ათი ქულის განსხვავებით, მაგრამ შესვენების შემდეგ ანცილიტავა ხელიდან გაუშვა და წააგო — 60:56.

ვაჟთა შორის ამერიკულ კალათბურთელთა მეტოქე იყო კიევის

„ბურვესტნიკი“, ხანტერესობა ბრძოლის შემდეგ გამარჯვებს ამერიკელმა სპორტსმენებმა — 88:83. აღსანიშნავია, რომ ყველაზე შედეგანი კალათბურთელი ვაჟთა შორის იყო კიეველი ვ. სტრემოუხოვი — 31 ქულა.

მორიგ შეხვედრებს ამერიკელი კალათბურთელები ჩაატარებენ ლენინგრადში.

შეკრება ვლადივოსტოკში

1-8 ივნისს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართა მსოფლიო მორიგი ჩემპიონატი თავისუფალი და კლასიკური ჭიკობაში. მასში წარმატებით მონაწილეობისათვის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები უკვე შეუდგნენ სამზადისს.

ამ დღეებში ვლადივოსტოკში გა-


იმართა საქართველოში წევრები საქართველოში კლასიკური ჭიკობაში მსოფლიო ჩემპიონატი, ანაშთი, რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. კორიძე და ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი მ. ლუდუშაური, თავისუფალი მოჭიდავეთა შევიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონი გ. სხირტლაძე, რომის ოლიმპიური თამაშების პრიზორი ვ. რუბაშვილი, საქართველო პრიველი პრიზორები გ. გომეზიშვილი, ზ. შეერილაძე, აგრეთვე გ. ხალაჩაძე.

მათთან ერთად, როგორც თავისუფალ მოჭიდავეთა მწვრთნელი ვლადივოსტოკს გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონი ვ. ბალაძე.

სტამბოლში — უმლიერესთა ტურნირი

გუშინ, 6 მაისს, სტამბოლში დაიწყო ფრენბურთულ ვაჟთა ხაერთაშორისო ტურნირი ევროპის ყველა უმლიერესი გუნდის მონაწილეობით. ამ შევიბრებაში გამოდიან ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებიც, რომლის შემადგენლობაში არიან: დ. ვოსკობოინიკოვი, ვ. მერკულიოვი (მოსკოვი, „ბურვესტნიკი“), ი. ბუგანკოვი, გ. მემსერსკი (სკოფი, რიგა), ე. სიბირიაკოვი, ვ. შნიუკოვი (ოდესა, „ბურვესტნიკი“), ი. პოპარკოვი (ხარკოვი, „ბურვესტნიკი“), ვ. კაპარავა (თბილისი, „ბურვესტნიკი“), ე. იაკოვლევი, ვ. კოვალენკო (ცხკა) და მწვრთნელები მ. ამალინი და ნ. მოხევი.

ა. ლაშანაშვილი



ჩამოწმული ტანვარჯიში ჩანს მკრავდვს კალვბი-სათვის დღის პირველ ნახევარში. ბრძოლის წევრები ეწყობიან ერთობად.

კომპლექსი № 1
პარჯიში 1. მოწყობა ერთობად, სიარული, მარცხენა ფეხის უკველ ნაბიჯზე ტაში წინ — 30 წამი.

პარჯიში 2. სიარული თანდათან აჩქარებით. რბენაზე გადასვლა — 15-20 წამი, სიარული შენელებით სრულ შეჩერებამდე 20-25 წამი. სუნთქვა თანაბარი, ღრმა.

პარჯიში 3. ხ. მ. ძირითადი დგომი. თვლაზე 1-2. ზემოკლავი, გაზნევა, ღრმად ჩახუნთქვა, 3-4. განმკლავის გადაცილებით; მიმკლავი, ღრმად ამოსუნთქვა, გამეორება 6-8-ჯერ, ნელ ტემპში.

პარჯიში 4. ხ. მ. ძირითადი დგომი; თვლაზე 1-2, ბუქნი, წინმკლავი თითების მომუქვა — ამოსუნთქვა, 3-4. ხაწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ჩახუნთქვა, გამეორება 6-8-ჯერ, საშუალო ტემპში.

პარჯიში 5. ხ. მ. ფეხშლით დგომი მარცხის სიგანეზე. თვლაზე 1-2, ზეტანის ბრუნება მარცხნივ,

განმკლავი, ნებები ზევით, გაზნევი — ჩახუნთქვა, 3-4. ხაწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ამოსუნთქვა, გამეორება 6-8-ჯერ, საშუალო ტემპში.

პარჯიში 6. სიარული ერთობად, თანდათან აჩქარებით რბენაზე გადასვლა 10-15 წამი, სიარულზე შენელებით, სრულ შეჩერებამდე 20-25 წამი, სუნთქვა თანაბარი.


პარჯიში 7. ხ. მ. დონი მომუქული თითებით. თვლაზე 1-2. იდაუვების უკან გადაწვივით გაზნევა — ჩახუნთქვა, 3-4. ხაწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ამოსუნთქვა, გამეორება 6-8-ჯერ, ნელ ტემპში.

პარჯიში 8. ხ. მ. ფეხშლით დგომი მხრებზე განივად განმკლავი. თვლაზე 1-2, წინწნეკი თითების მიწაზე შეხებით — ამოსუნთქვა, 3-4. ხაწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ჩახუნთქვა, გამეორება 4-6-ჯერ, საშუალო ტემპში.

პარჯიში 9. ხ. მ. ძირითადი დგომი, განმკლავი ნებები წინ. თვლაზე 1-2, თითების მომუქვა და გაშლა ორქერ, 3-4 წინმკლავი, ტა-

ში ორქერ, გამეორება 8-10-ჯერ საშუალო ტემპში, თანდათანობით აჩქარებით, სუნთქვა თანაბარი.

ჩამოწმული ტანვარჯიში დღის მეორე ნახევარში, სასალილო შესვენების შემდეგ ვარჯიშები სრულდება ერთობად



კომპლექსი № 2. სიარული დონიქით. თვლა 1. მარცხენით ნაბიჯი წინ, ზეტანის ბრუნება მარცხნივ. 2. მარცხენით, ნაბიჯი წინ, ზეტანის ბრუნება მარცხნივ და ა. შ. გამეორება 8-10-ჯერ ორივე მხარეს, საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

პარჯიში 3. სიარული დონიქით. მარცხენის დაწვევით, უკველ ორ ნაბიჯზე წინწნეკი, შემდეგ ორ ნა-

ბიჯზე ზემართი. გამეორება 6-8-ჯერ საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

პარჯიში 4. სიარული. თვლაზე 1-2-3-4, ნაბიჯი წინ, ერთდროულად განმკლავის გადაცილებით ზემოკლავი და მიმკლავი, უკველ ნაბიჯზე თითების მომუქვა და გაშლა, მე-5 ნაბიჯზე მკლავების მოდუნებით ჩამოშვება თვლაზე 5-6-7-8. ხაში ნაბიჯი წინ, გამეორება 6-8-ჯერ საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

პარჯიში 2. სიარული დონიქით. თვლა 1. მარცხენით ნაბიჯი წინ, ზეტანის ბრუნება მარცხნივ. 2. მარცხენით, ნაბიჯი წინ, ზეტანის ბრუნება მარცხნივ და ა. შ. გამეორება 8-10-ჯერ ორივე მხარეს, საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

პარჯიში 3. სიარული დონიქით. მარცხენის დაწვევით, უკველ ორ ნაბიჯზე წინწნეკი, შემდეგ ორ ნა-

ბიჯზე ზემართი. გამეორება 6-8-ჯერ საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

პარჯიში 4. სიარული. თვლაზე 1-2-3-4, ნაბიჯი წინ, ერთდროულად განმკლავის გადაცილებით ზემოკლავი და მიმკლავი, უკველ ნაბიჯზე თითების მომუქვა და გაშლა, მე-5 ნაბიჯზე მკლავების მოდუნებით ჩამოშვება თვლაზე 5-6-7-8. ხაში ნაბიჯი წინ, გამეორება 6-8-ჯერ საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარი.

პარჯიში 5. ხ. მ. ძირითადი დგომი ნახევარდონიწნეკი, დონიქი. თვლაზე 1-2, უკველწეკი, იდაუვების უკან გატანა, ჩახუნთქვა 3-4

ფიზკულტურით

პარჯიში 1. ხ. მ. ფეხშლით დგომი ნახევარდონიწნეკი, დონიქი. თვლაზე 1-2, უკველწეკი, იდაუვების უკან გატანა, ჩახუნთქვა 3-4

როგორც რბოლის ტრასა, რომელი გუნდი მოიგებს პირველობას და სპორტსმენთა შორის ვინ გაეპრიზიორთა რიგებში? ასეთი კითხვებით მიმართა ჩვენი ვაზეთის კორესპონდენტმა ამიერკავკასიის მრავალდღიან ველორბოლაში მონაწილე კოლექტივების მწვრთნელებს. პირველ კითხვებზე პასუხი ყველასავე ერთნაირი იყო: რბოლის ტრასა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია და სირთულით იგი შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის მრავალდღიანი ველორბოლის ტრასას თუ ჩამოუვარდებოდა: რელიეფის სხვადასხვაობა, მწვრთნელების აზრით, არის ამ შეჯიბრების მთავარი ღირსება, ამიერკავკასიის ველოსიპედისტთა წინაშე დგას მეტად რთული ამოცანა. მრავალრიცხოვანი უღელტეხილები და ხშირი მოსახვევები სპორტსმენებისათვის მაქსიმალურ ისტაბილურობას მოითხოვენ.

თუ პირველ კითხვებზე პასუხში 15 მწვრთნელის აზრი აბსოლუტურად დამთხვავდა ერთმანეთს, მეორე და მესამე კითხვებზე პასუხები სხვადასხვა იყო. აი ისინი:

ა. ბოიჩიანი (სომხეთი, „სპარტაკი“). გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებს გუნდურ ჩათვლაში (უწყებათა შორის) ვთვლი თბილისის



„კოლმეურნე“ და ერევნის „სპარტაკი“. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები ჩემის აზრით ასე უნდა განაწილდეს: 1. გ. ავაქიანი (სომხეთი „სპარტაკი“), 2. ე. ბირიუკოვი (საქართველო, „ბურვესტნიკი“), 3. ე. სიკორსკი (საქართველო, „კოლმეურნე“).

ბ. მანუჩიანი (სომხეთი, „დინამო“). გუნდებში — 1. სომხეთის „სპარტაკი“, 2. სომხეთის „აშხატანი“, 3. საბჭოთა არმია (სომხეთი). პირადში — 1. გ. ავაქიანი, 2. ე. ბირიუკოვი, 3. ს. ოგანესიანი.

ვ. ვერანიანი („კოლმეურნე“). გუნდებში — 1. „სპარტაკი“ (ერევანი), 2. „კოლმეურნე“ (თბილისი), 3. „აშხატანი“ (სომხეთი) პირადი — 1. გ. ავაქიანი, 2. ე. ბირიუკოვი, 3. ს. ოგანესიანი.

გ. ვახაჩიანი (საბჭოთა არმია, სომხეთი). გუნდებში — 1. „სპარტაკი“ (ერევანი), 2. „კოლმეურნე“ (საქართველო), 3. „აშხატანი“ (სომხეთი). პირადი — 1. გ. ავაქიანი, 2. ბ. ზარიპოვი (საბჭოთა არმია, სომხეთი), 3. ე. ამირბეგიანი „აშხატანი“ (სომხეთი).

დ. კახიძიანი („აშხატანი“, სომხეთი). გუნდები — 1. „სპარტაკი“ (სომხეთი), 2. „კოლმეურნე“ (საქართველო), 3. „აშხატანი“ (სომხეთი). პირადი — 1. „კოლმეურნე“ (საქართველო), 2. „სპარტაკი“ (ერევანი), 3. აზერბაიჯანის I გუნდი. პირადი — 1. გ. ავაქიანი, 2. ე. ბირიუკოვი, 3. ა. ხრაპკოვი (აზერბაიჯანის V გუნდი).

ა. გუნია („კოლმეურნე“ საქართველო). გუნდები — 1. „სპარტაკი“ (ერევანი), 2. „კოლმეურნე“ (საქართველო), 3. აზერბაიჯანის I გუნდი. პირადი — 1. გ. ავაქიანი, 2. ე. ბირიუკოვი, 3. ე. სემერგეი (აზერბაიჯანის V გუნდი).

ვ. ძეგნიანი („განთიადი“ საქართველო). გუნდები — 1. „სპარტაკი“ (ერევანი), 2. „კოლმეურნე“ (საქართველო), 3. აზერბაიჯანის I გუნდი. პირადი — 1. ე. ბირიუკოვი, 2. გ. ავაქიანი, 3. ს. კვინიკაძე („კოლმეურნე“ საქართველო).


ზ. გუჯაბიანი („ბურვესტნიკი“ საქართველო). გუნდები — 1. „სპარტაკი“ (სომხეთი), 2. „კოლმეურნე“ (საქართველო), 3. აზერბაიჯანის I გუნდი. პირადი — 1. ე. ბირიუკოვი, 2. გ. ავაქიანი, 3. ე. სიკორსკი.

ი. ციტიშვილი („სპარტაკი“, საქართველო). გუნდები — 1. „კოლმეურნე“ (საქართველო), 2. „სპარტაკი“ (ერევანი), 3. აზერბაიჯანის I გუნდი. პირადი — 1. ე. ბირიუკოვი, 2. გ. ავაქიანი, 3. რ. გუბი („კოლმეურნე“, საქართველო).

კ. ზარგარლი (აზერბაიჯანის ნაჯრები გუნდის უფროსი მწვრთნელი). აღნიშნულ რბოლაში ჩვენი ველოსიპედისტები არ იბრძვიან საუწყებათა შორის პირველობისათვის, რადგან ჩვენ გუნდები დეაკომპლექტით არა სპორტული საზოგადოებების, არამედ სპორტსმენთა სოციეტის მიხედვით. ვინ გაიმარჯვებს პირად ან გუნდურ ჩათვლაში, ამის თქმა ძნელია, რადგან ჩვენს მოწინააღმდეგეებს — საქართველოსა და სომხეთის ველოსიპედისტებს არ ვიცნობთ.

საბჭოთა ველოსიპედისტების მიხედვით და კეთილი სურვილებით გააცილეს აფხაზეთის დედაქალაქის მშრომლებმა ამიერკავკასიის მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილენი. 90-მა ველოსიპედისტმა ქარავით ჩაუჭროლა სოხუმის ქუჩებზე და ლამაზი ზღვისპირა გზატკეცილით კურსი ზუგდიდისაკენ აიღო. დიწყო ხანგრძლივი და საინტერესო ბრძოლა საქართველოს ეურნალისტთა კავშირის მიერ დაწესებული პრიზობისთვის, რომელსაც „მეგობრობის თასი“ ჰქვია.

სტარტიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ზუგდიდის მიმართულებით დაიძრა კორესპონდენტთა მსუბუქი მანქანა, მძღოლს მთელი თავისი გამოცდილების და მაღალი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა, რათა შეერთებოდა კოლონას. რამდენიმე სპორტსმენმა სცადა დაწინაურება, მაგრამ ამაოდ. ჭკუფა „გაქცეულებს“ იმავე წამს დაეწია, უკან დარჩა სინდონი, თანაჰირე, ოქუმი, ლიდერი კი არსად სჩანდა, აი, კიდევ ერთმა ველოსიპედისტმა სცადა ბედი. იგი მძლავრი ბიძგით გამოეყო ჭკუფს და იმავე წამს წინასულს მეორე დაეღვენა. ორისთვის გაცილებით იოლია ჰაერის წინააღმდეგობის გარღვევა. და თუ მათ შესძლეს ფინიშთან ყველაზე



რ ბ ო ლ ა

ადრე მისვლა, შეჯიბრების წესების თანახმად მათ 60 და 30 წამი დაეკლებათ (პრემიალური), მაგრამ ზუსტად იგივეს ფიქრობს რბოლის დანარჩენი 88 მონაწილე. ჭკუფი სულ მალე შეათქაფეს ამ წვეილსაც.

ბოლოსდაბოლოს მიინც მოხდა რბოლის პირველი დანაწილება, ძირითად ჭკუფს თითქმის შეუმჩნევლად გამოეყო ორი აზერბაიჯანელი — ე. სემერგეი, ა. ხრაპკოვი, ერევნელი ე. ამირხანიანი და თბილისელი ე. სიკორსკი. ამ პატარა ჭკუფმა ნელ-ნელა გაზარდა სხვაობა, რომელმაც შემდეგ ძირითად ჭკუფისათვის სახიფათო ხასიათი მიიღო. სწორედ ამ მომენტში შესამჩნევად მოუმატა ტემპს საქართველოს „ბურვესტნიკის“ წარმომადგენელმა, საბჭოთა კავშირის ნაჯრების წევრმა ე. ბირიუკოვმა, რომელმაც აიყოლია სხვები და ჭკუფი დაწინაურებულთან მოიყვანა. ეს მოხდა ზუგდიდის მასაღამებთან.

ბრძოლის სიმძაფრემ არახული ფორმები მიიღო. ფინიშისაკენ დაიძრა ველოსიპედისტთა ვეებერთელა ჭკუფი, რომელშიც ძნელი გასარკვევი იყო ვინ იყო წინ და ვინ უკან. ზედ ფინიშზე შესანიშნავი ბიძგით წინ გაეძრა საქართველოს „დინამოს“ წარმომადგენელი ა. თავაძე, რომელმაც სულ ნახევარი ბორბლით გადაუსწრო თავის მოწინააღმდეგეებს.

მაგრამ ვინ იყვნენ ისინი. ამის გარკვევა არც თუ ისეთი იოლი საქმე იყო. მხოლოდ ფოტოფირის გამკლავების შემდეგ გასდა ცნობილი მეორე და მესამე პრიზორის გვარები. მეორე ადგილზე გამოვიდა ერევნელი ე. ამირბეგიანი, ხოლო მესამეზე თბილისელი ე. სიკორსკი. პირველი ეტაპის გავლას გამარჯვებულმა 2:34.25 მოანლომეს.

მეორე, 115-კილომეტრიანი ეტაპი ზუგდიდი — ქუთაისი, როგორც ორი წვეთი ჰგავდა თავის წინამორბედს. აქაც დიდხანს ვერ იქნა და ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ შეძლო დაწინაურება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ველოსიპედისტები ამ ეტაპზე უფრო აქტიურობდნენ. სამტრედიასში წინ გავიდა აზერბაიჯანის გუნდის წარმომადგენელი ს. აკოფოვი. მანძილი მასსა და ძირითად ჭკუფს შორის დასაწყისში

უმნიშვნელო იყო. შემდეგ აკოფოვმა გაზარდა იგი და აიყვანა დაახლოვებით ერთ კილომეტრამდე. დაწინაურებულის პოზიცია, როგორც სჩანს ყველაზე უფრო არ მოეწონა სომხეთის გუნდის წევრს ბ. ზარიპოვს, რომელმაც გადაწყვიტა „მდეგარის დაქვარა“, მასთან ერთად ჭკუფს გამოეყო კიდევ ერთი ველოსიპედისტი აზერბაიჯანის გუნდიდან ი. იურჩიშინი. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება ცხადზე ცხადი იყო. თუ იგი ზარიპოვთან ერთად შესძლებდა გაქცეულთან შეერთებას, აზერბაიჯანის გუნდის ფინიშთან ორი სპორტსმენი ეყოლებოდა, რაც გუნდურ გამარჯვებას ნიშნავდა.

მაგრამ აკოფოვი დაიღალა. ზარიპოვი და იურჩიშინი მალე წამოვიწყნენ მას და რბოლა უკვე სამმა ველოსიპედისტმა შეიყვანა. ამავე დროს ძირითად ჭკუფში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. ფარცხანაყენებთან დაწინაურდნენ კ. პოგორელოვი (საქართველო, „განთიადი“) და ა. მოროზოვი (აზერბაიჯანის V გუნდი), ტემპს უმატა ჭკუფი და სულ მალე გამოჩნდა დაწინაურებულთა კონტურები.

განმეორდა პირველი ეტაპის შავალითი. ფინიშთან სულ ახლოს ჭკუფი წამოიწია ლიდერებს და კვლავ ერთ კომპლექტურ მასად შეიკრა. ბრძოლა პირველი ადგილისათვის გაიმართა ქალაქის ქუჩებში, რომელსაც ველოსიპედისტები მოეფინენ დიდი სიჩქარით. ზედ ფინიშის ხანთან დაწინაურდა საქართველოს „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ე. სიკორსკი, რომელმაც მოიგო კიდევ ერთი გამარჯვებულმა მანძილი დაფარა — 2:39.06. პირველ ეტაპზე გამარჯვებულ ა. თავაძეს ფინიშამდე 300 მეტრით ადრე დაეწინაურდა მანქანა, ამიტომ იგი ჭკუფს შემდეგ მოჰყვა. ორი ეტაპის ჯამის მიხედვით გუნდურ ჩათვლაში წინ მიდის საქართველოს ველოსიპედისტები. უწყებათა შორის „კოლმეურნე“, ხოლო პირად ჩათვლაში რბოლის ლიდერობს ე. სიკორსკი.

პირველმა ორმა ეტაპმა ცხადყო სპორტსმენთა კარგი მომზადება. რბოლის საშუალო სიჩქარეც მაღალია — 40 კილომეტრზე მეტი საათში.

ნ. გუგუშვილი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

სუპერსპეკ საიქ

III ეტაპი, ქუთაისი-ხუშტრი. სურამის გადასახლელზე საშუალოდ ფინიშზე პირველი იყო ერევნელი ს. ოგანესიანი — 2:46.30, ხოლო რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ ველორბოლის მონაწილენი დაეშვნენ სურამისაკენ, სადაც დანიშნული იყო III ეტაპის ფინიში. აქ პირველი იყო რ. გუბი (თბილისი, „კოლმეურნე“), მეორე ე. ბირიუკოვი (თბილისი, „ბურვესტნიკი“), მესამე ს. ოგანესიანი (ერევანი), ხოლო მეოთხე — ე. სიკორსკი (თბილისი, „კოლმეურნე“).

პირად ჩათვლაში ხუშტრის ეტაპის ჯამში პირველ ადგილზე ე. სიკორსკი, გუნდურ ჩათვლაში, უწყებებს შორის — თბილისის „კოლმეურნის“ გუნდი.

